

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 14 ივლისის
ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი თევზაძე, დათუნა მოდებაძე, ციცინო ცხვედიანი, ნათია კორკოტაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, მარიამ კუბლაშვილი (Webex პლატფორმით დისტანციურად).

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება;

(ა) წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ირაკლი შაკიაშვილს, ანა ილაურს, პაატა მარკელიას, ბაქარ ხიჯაკაძეს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია. შესაბამისად, აღნიშნული პირების განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ირაკლი შაკიაშვილის, ანა ილაურის, პაატა მარკელიას, ბაქარ ხიჯაკაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ინგა გუნიაშვილმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას, თანდართულ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ინგა გუნიაშვილის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(გ) წევრები გაეცნენ დავით მეზვრიშვილის 2020 წლის 3 ივლისის განცხადებას გაწევრიანების შესახებ თანდართული დოკუმენტებით და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებას, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 10 სექტემბრის სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ დავით მეზვრიშვილისთვის ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციით დ. მეზვრიშვილის ასოციაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 19 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, დაკმაყოფილდეს დავით მეზვრიშვილის განცხადება ასოციაციაში გაეწვერიანების თაობაზე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციით;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 19 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, დავით მეზვრიშვილს აუნაზღაურდეს 2019 წლის 18 ნოემბერს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით.

(დ) წევრები გაეცნენ თამთა მაისურაძის 2020 წლის 3 ივლისის განცხადებას გაწვერიანების და წევრობის შეჩერების შესახებ თანდართული დოკუმენტებით და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებას, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე თ. მაისურაძისთვის გაწვერიანებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ თ. მაისურაძის ასოციაციაში გაწვერიანებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 4 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, დაკმაყოფილდეს თამთა მაისურაძის განცხადება ასოციაციაში გაეწვერიანების თაობაზე;
- „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თამთა მაისურაძეს შეუჩერდეს ასოციაციის წევრობა;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 4 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, თამთა მაისურაძეს აუნაზღაურდეს 2019 წლის 3 აპრილს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით.

(ე) წევრები გაეცნენ გიორგი მარკოზაშვილის 2020 წლის 22 ივნისის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე და თანდართულ დოკუმენტაციას.

მათ განაცხადეს, რომ განმცხადებელი არ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გაწევრიანებისთვის დადგენილ მოთხოვნებს და მისი განცხადება არ ექვედებარება დაკმაყოფილებას შემდეგი გარემოებების გამო:

- გ. მარკოზაშვილის მიერ წარმოდგენილი სერტიფიკატით ირკვევა, რომ მან პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარა 2003 წლის 8 თებერვალს;
- „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის კანონის 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესის თანახმად, აღნიშნული სერტიფიკატი არ არის ვალიდური, რადგან გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი და განმცხადებლის მიერ არ არის წარმოდგენილი 10 წლის ვადაში მისი პროკურორად ან მოსამართლედ გამწესების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გ. მარკოზაშვილის მიერ წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2020 წლის 4 ივნისს გაცემული ცნობით დასტურდება, რომ 2003 წლის 5 აგვისტოდან - 2005 წლის 24 მარტამდე იგი მუშაობდა ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს ინსპექტორის/უფროსი ინსპექტორის პოზიციებზე; 2006 წლის 6 ივლისიდან - 2012 წლის 3 დეკემბრამდე - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს გამომძიებლის/უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე; საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს მე-4 განყოფილების ცვლის უფროსის, ამავე სამმართველოს სახაზო-საპატრულო განყოფილების უფროსის თანამდებობებზე; 2012 წლის 3 დეკემბრიდან - 2019 წლის 12 თებერვლამდე იგი იკავებდა ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის, ამავე დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის მე-7 განყოფილების გამომძიებლის თანამდებობებს.
- განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს 2005 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გაცემული ცნობა, 2005 წლის 29 იანვარს საქართველოს პროკურატურის სტაჟიორთა წერილობითი კონკურსის (ტესტირება) გავლის თაობაზე, რომლითაც ასევე, არ დასტურდება მისი პროკურორად მუშაობის ფაქტი.

წევრებმა განაცხადეს, რომ გაწევრიანებაზე უარის თქმის საფუძველია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი („მის მიერ ადვოკატთა, მოსამართლეობის ან/და პროკურატურის შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი და იგი დადგენილი წესით არ გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ან არ გამწესებულა მოსამართლედ ან პროკურორად“).

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, არ დაკმაყოფილდეს გიორგი მარკოზაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება;

წევრები გაეცნენ:

(ა) ხვიჩა კვარაცხელიას, სოფიო ინჯგიას, კახაბერ ხურცილავას, ნინო მიხელიძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანებისთვის თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ხვიჩა კვარაცხელიას, სოფიო ინჯგიას, კახაბერ ხურცილავას, ნინო მიხელიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ჯამლეთ მერებაშვილის 2020 წლის 6 ივლისის განცხადებას ხელახალი გაწევრიანების შესახებ თანდართული დოკუმენტებით და დამატებით წარმოდგენილ განცხადებას საწევრო დავალიანების მიზეზით წევრობის შეწყვეტის შესახებ. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ როგორც II ჯგუფის ინვალიდი, გათავისუფლებული იყო საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან. 2016 წლიდან იგი ირიცხებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (წარმოდგენილი იყო შესაბამისი დოკუმენტი). განმცხადებელი ითხოვდა აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე მისთვის 75% - იანი საწევრო შეღავათის გავრცელებას 2017-2018-2019 წლების საწევრო გადასახადზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ჯამლეტ მერებაშვილს 2019 წლის 2 ივლისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით შეუწყდა წევრობა, 2017-2018-2019 წლების საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო და მისი საწევრო დავალიანება შეადგენდა 400 ლარს (იგი 2018 წლიდან სარგებლობდა საპენსიო ასაკის მქონე წევრებისთვის დადგენილი 50%-იანი საშელავთო საწევროთი).

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელმა საბჭომ 2019 წლის 31 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება საშელავთო საწევროზე კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, ერთ-ერთი კრიტერიუმი ეხება წევრებს, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

ჯამლეტ მერებაშვილის მიერ წარმოდგენილი ამონაწერით დასტურდება, რომ იგი ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 2016 წლიდან. ამდენად, შესაძლებელია 75%-იანი საშელავთო საწევროს გავრცელება 2017-2018-2019 წლების საწევრო გადასახადზე, ხოლო აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია მას გადაუვადდეს შეღავათით გათვალისწინებული საწევრო დავალიანების (150 ლარი) გადახდა 6 თვის ვადით (2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე).

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილებები:

- დაკმაყოფილდეს ჯამლეტ მერებაშვილის 2020 წლის 6 ივლისის განცხადება ხელახალი გაწევრიანების შესახებ;
- დაკმაყოფილდეს ჯამლეტ მერებაშვილის განცხადება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე 75% - იანი საწევრო შეღავათის 2017-2018-2019 წლების საწევრო გადასახადზე გავრცელების თაობაზე; აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, მას გადაუვადდეს აღნიშნული შეღავათით გათვალისწინებული საწევრო დავალიანების (150 ლარი) გადახდა 6 თვის ვადით (2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე);
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე.

(გ) ვახტანგ ქანაშვილის 2020 წლის 14 ივლისის განცხადებას ხელახალი გაწევრიანების შესახებ თანდართული დოკუმენტებით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი წარმოადგენს სამი შვილის მამას, არის უმუშევარი, გააჩნია ფინანსური პრობლემები და ითხოვს ხელახლა გაწევრიანებას პროფესიული საქმიანობის დაწყების მიზნით, ხოლო დავალიანების გადახდის განხორციელებას - მოგვიანებით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ვახტანგ ქანაშვილს 2019 წლის 2 ივლისს შეუწყდა წევრობა 2017-2018-2019 წლების საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო და მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანება შეადგენდა 600 ლარს. იგი არ სარგებლობდა აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული საშელავათო საწევროთი.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, შესაძლებელია ვახტანგ ქანაშვილს გადაუვადდეს მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების (600 ლარი) გადახდა 6 თვის ვადით (2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე).

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილებები:

- დაკმაყოფილდეს ვახტანგ ქანაშვილის 2020 წლის 14 ივლისის განცხადება ხელახალი გაწევრიანების შესახებ;
- აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, ვახტანგ ქანაშვილს გადაუვადდეს საწევრო დავალიანების (600 ლარი) გადახდა 6 თვის ვადით (2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე);
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა;

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების (ლაურა მაკარაძე, მაგდა ბერიძე) განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ: აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებელ წევრს, რომელსაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვს გადასახდელი, ეცნობოს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის,

21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა, წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა, წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21² მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუკმაყოფილდეს ზემოაღნიშნული პირების განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს - ლაურა მაკარაძეს და მაგდა ბერიძეს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანებისა და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. სალომე ჯანუაშვილის განცხადების განხილვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე;

წევრები გაეცნენ სალომე ჯანუაშვილის 2020 წლის 18 ივნისის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სალომე ჯანუაშვილის 2020 წლის 18 ივნისის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას სალომე ჯანუაშვილის კანდიდატურა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წევრად.

საკითხი 5. თინიკო კვინიკაძის განცხადების განხილვა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით ერთწლიანი პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის შესახებ „ზურაბ როსტიაშვილის საადვოკატო ბიუროში“ სტაჟირების გავლის თაობაზე;

წევრები გაეცნენ თინიკო კვინიკაძის 2020 წლის 2 ივლისის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მან პროფესიული ადაპტაციის ერთწლიანი პროგრამის სრული კურსი გაიარა ადვოკატთა ასოციაციაში. აქედან, 9 თვიანი სტაჟირების ნაწილი გაიარა „ზურაბ როსტიაშვილის საადვოკატო ბიუროში“. მას სურდა ერთწლიანი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სამუშაო სტაჟში ჩათვლის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა ადვოკატთა ასოციაციის სახელით.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საადვოკატო სტაჟირების პერიოდი ითვლება შრომის საერთო სტაჟსა და პროფესიული საქმიანობის სტაჟში. ამავე კანონის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატის სტაჟიორი არის პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ამ კანონით დადგენილი წესით ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის/პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა და სურს სტაჟირების გავლა ამავე კანონის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დადგენილი წესით (გავლილი აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული ადაპტაციის პროგრამა, რომელიც 1-წლიანია და შედგება თეორიული ნაწილისა და სტაჟირებისაგან).

ამასთან, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 11.1. მუხლის შესაბამისად, ადვოკატის სტაჟიორი არის ადაპტაციის პროგრამის მონაწილე პირი, რომელიც “ადვოკატთა შესახებ” კანონის მე-10 მუხლის, მე-16 მუხლისა და

წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად გადის ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ნაწილს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს თინიკო კვინიკაძის 2020 წლის 2 ივლისის განცხადება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გაიცეს პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი „ზურაბ როსტიაშვილის საადვოკატო ბიუროში“ თინიკო კვინიკაძის მიერ 9 თვიანი სტაჟირების გავლის თაობაზე;

საკითხი 6. გიორგი კვიციანიშვილის განცხადების განხილვა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით ერთწლიანი პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის შესახებ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში „ზურაბ როსტიაშვილის საადვოკატო ბიუროში“ სტაჟირების გავლის თაობაზე.

წევრები გაეცნენ გიორგი კვიციანიშვილის 2020 წლის 1 ივლისის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მან პროფესიული ადაპტაციის ერთწლიანი პროგრამის სრული კურსი გაიარა ადვოკატთა ასოციაციაში. აქედან, მან პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 9 თვიანი სტაჟირების ნაწილი გაიარა „ზურაბ როსტიაშვილის საადვოკატო ბიუროში“. მას სურდა ერთწლიანი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სამუშაო სტაჟში ჩათვლის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა ადვოკატთა ასოციაციის სახელით.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საადვოკატო სტაჟირების პერიოდი ითვლება შრომის საერთო სტაჟსა და პროფესიული საქმიანობის სტაჟში. ამავე კანონის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატის სტაჟიორი არის პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ამ კანონით დადგენილი წესით ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის/პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა და სურს სტაჟირების გავლა ამავე კანონის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დადგენილი წესით (გავლილი აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული ადაპტაციის პროგრამა, რომელიც 1-წლიანია და შედგება თეორიული ნაწილისა და სტაჟირებისაგან).

ამასთან, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 11.1. მუხლის შესაბამისად, ადვოკატის სტაჟიორი არის ადაპტაციის პროგრამის მონაწილე პირი,

რომელიც “ადვოკატთა შესახებ” კანონის მე-10 მუხლის, მე-16 მუხლისა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად გადის ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ნაწილს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს გიორგი კიკილაშვილის 2020 წლის 2 ივლისის განცხადება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გაიცეს პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი „ზურაბ როსტიაშვილის საადვოკატო ბიუროში“ გიორგი კიკილაშვილის 9 თვიანი სტაჟირების გავლის თაობაზე.

საკითხი 7. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების გაცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე, მარიამ ჯანჯღავასთვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების 53-ე კითხვაზე 1 (ერთი) ქულის მომატების თაობაზე.

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებას, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, 2019 წლის 01, 07, 08, 14 და 15 დეკემბერს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შესული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2020 წლის 22 იანვრის სხდომის ოქმი #1, მარიამ ჯანჯღავასთვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების #53 კითხვასთან დაკავშირებით ქულის მომატების მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე მარიამ ჯანჯღავასთვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების 53 - ე კითხვაზე 1 (ერთი) ქულის მომატებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მარიამ ჯანჯღავას ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების #53 კითხვაზე მოემატოს 1 (ერთი) ქულა.

- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, მარიამ ჯანჯღავას აუნაზღაურდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით.

საკითხი 8. ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2020 წლის 16 ივნისს ადვოკატ თეიმურაზ ორკოდაშვილის მიმართ მიღებული განაჩენის გაცნობა.

წევრები გაეცნენ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 16 ივნისის განაჩენს ასოციაციის წევრის თეიმურაზ ორკოდაშვილის (პ/ნ 20001015917; სიითი #4490) მიმართ, რომელიც ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის. მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 4 (ოთხი) წელი. მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით.

წევრებმა განაცხადეს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი - თავისუფლების აღკვეთას 4 - დან 6 წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, „ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, თუ ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. ამავე კანონის 21³ მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს წევრობა შეუწყდება თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მძიმე დანაშაულისათვის.

აქედან გამომდინარე, აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა მიიღოს ცნობად.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა თეიმურაზ ორკოდაშვილისთვის (პ/ნ 20001015917; სიითი #4490) წევრობის შეწყვეტის შესახებ და წევრი ამოღებულ იქნას ასოციაციის წევრთა ერთიანი სიიდან.

საკითხი 9. ასოციაციის წევრების განცხადებების განხილვა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების თაობაზე;

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების თაობაზე, 2020 წლის 18 მაისიდან - 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით ასოციაციას მომართა ჯამში 266-მა წევრმა, რომელთაც დაუკმაყოფილდათ განცხადებები 2020 წლის 11 ივნისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით.

მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციის წევრებს, წევრთა ერთიან სიაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომრებზე მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით მიეწოდათ ინფორმაცია „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, დადგენილ ვადაში ასოციაციისთვის მომართვის თაობაზე, მიმდინარე წლის ივლისის თვეში ასოციაციას დაგვიანებით მომართა დამატებით 16-მა წევრმა (ნატო

ვაშაკიძე, თამთა ზოიძე, ელენე კავთუაშვილი, გიგა კოლუა, სოფიო გოგლიჩიძე, ნატალია გელაძე, თეონა ტაბატაძე, ანა გუჯარაიძე, სულხან ვარშალომიძე, მარიამ ხაზარაძე, გიორგი გოცირიძე, ია თოდუა, მათა ტალახაძე, ლანა ჯიჯავა, ნინო კვეტენაძე, თეონა ქარჩავა), 2020 წლის საწევროს მ/წლის 1 დეკემბრამდე გადავადების მოთხოვნით.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაგვიანებით მომართვის მიუხედავად, მას მიზანშეწონილად მიაჩნია, გათვალისწინებულ იქნას კოლეგების მიერ განცხადებებში მითითებული გარემოებები და მათაც მიეცეთ საშუალება, ისარგებლონ აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების შესაძლებლობით.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

- დაკმაყოფილდეს აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, ასოციაციაში დამატებით შემოსული 16 წევრის (ნატო ვაშაკიძე, თამთა ზოიძე, ელენე კავთუაშვილი, გიგა კოლუა, სოფიო გოგლიჩიძე, ნატალია გელაძე, თეონა ტაბატაძე, ანა გუჯარაიძე, სულხან ვარშალომიძე, მარიამ ხაზარაძე, გიორგი გოცირიძე, ია თოდუა, მათა ტალახაძე, ლანა ჯიჯავა, ნინო კვეტენაძე, თეონა ქარჩავა) განცხადება, 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების თაობაზე;
- აღნიშნულ წევრებს გადაუვადდეთ 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბრამდე.

საკითხი 10. თინა ჯულუხაძის განცხადების განხილვა;

წევრები გაეცნენ თინა ჯულუხაძის 2020 წლის 8 ივლისის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2017 წელს მან ვერ გადაიხადა წლიური საწევრო გადასახადი, ვინაიდან, ასოციაციის წესდების თანახმად, “ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე“. ამასთან, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ადვოკატს წევრობა შეუწყდება, თუ არ იხდის საწევრო გადასახდს. აღნიშნული სამართლებრივი

ნორმებიდან გამომდინარე, მან იცოდა, რომ შეწყვეტილი ჰქონდა წევრის სტატუსი, შესაბამისად, 2017 წლიდან - 2020 წლამდე არ უსარგებლია წევრის სტატუსით და ასოციაციის მომსახურებით, როგორც თავად მიუთითებს განცხადებაში. 2020 წელს მას კვლავ სურდა ასოციაციაში გაწევრიანება, როდესაც მას განემარტა, რომ ჰქონდა 2017-2018-2019 წლების დავალიანება - 600 (ექვსასი) ლარი. იგი თვლიდა, რომ კანონმდებლობიდან და სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, მას არ გააჩნდა ასოციაციის მიმართ დავალიანება და ითხოვდა აღნიშნული დავალიანების ჩამოწერას და წევრობის აღდგენას მის მიერ საწევრო გადასახადის გადახდის შემდეგ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2018 წლის 1 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2018 წლის 14 მაისიდან დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე ასოციაციის წევრ ადვოკატთა გამოვლენისა და უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით და აღნიშნული აქტის გამოცემის ვადად განისაზღვრა 2018 წლის 29 ივნისი. ამავე გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია განთავსდა ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge, ადვოკატთა ასოციაციის ფეისბუქ გვერდზე და საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატებს გაეგზავნათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე მათ მიერ ასოციაციაში წარმოდგენილ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით, 2018 წლის 1 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2018 წლის 14 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა და საბოლოო ვადად განისაზღვრა - 2018 წლის 3 აგვისტო.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკითხზე - „2018 წლის 1 მაისს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2018 წლის 14 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი საწევრო გადაუხდელი ადვოკატების ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე“ ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 3, წინააღმდეგი - 5). გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით, 2019 წლის 01 მაისს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირთა მიმართ წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით და აღნიშნული აქტის გამოცემის ვადად განისაზღვრა - 2019 წლის 30 მაისი.

აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა 20 კალენდარული დღით - 2019 წლის 19 ივნისამდე.

აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა კიდევ 12 კალენდარული დღით - 2019 წლის 2 ივლისამდე.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პერიოდში, საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების ინფორმირება ინტენსიურად ხორციელდებოდა: საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სია გამოქვეყნდა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ფეისბუქ-გვერდზე და გაზეთ “რეზონანსში”. წევრებს ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე 10-ჯერ გაეგზავნათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები და არაერთხელ მოხდა მათთან პირდაპირი სატელეფონო კომუნიკაცია ასოციაციისთვის ცნობილ საკონტაქტო ტელეფონის ნომრებზე, მათ შორის, ასოციაციის წევრთა ერთიან ბაზაში არსებულ თინა ჯულუხაძის მობილურ ტელეფონის ნომერზე. 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე ასოციაციის წევრთა ნაწილმა მომართა ასოციაციას საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თხოვნით, რომელიც დაკმაყოფილდა და აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მათ 2020 წლის 1-ელ მარტამდე გადაუვადდათ გადახდა, ხოლო 2020 წლის 7 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის ფარგლებში“ დამატებითი მომართვის გარეშე, მათ დავალიანების გადახდის ვადა კიდევ გაუგრძელდათ 2020 წლის 1-ელ დეკემბრამდე.

აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით, საკითხზე „2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე“ ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 7,

წინააღმდეგი - 0), მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, აღმასრულებელი საბჭოს 12.04.2019 წლის გადაწყვეტილებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ და 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრებისთვის “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21³ მუხლის, 1-ლი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მათ განაცხადეს, რომ როგორც თ. ჯულუხაძე აღნიშნავს მისსავე განცხადებაში, მისთვის ცნობილი იყო საწევროს გადახდის წესი და ასევე, წევრობის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი. ასევე, 2018-2019 წლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის განმავლობაში, განმცხადებელი ინფორმირებული იყო და არაერთხელ განხორციელდა შეხსენება სატელეფონო კომუნიკაციის თუ მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით, მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და გადაუხდელობის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგთან დაკავშირებით.

აღნიშნულ პერიოდში, თინა ჯულუხაძეს არ გადაუხდია საწევრო დავალიანება და არც ასოციაციისთვის მოუმართავს განცხადებით, საწევრო გადასახადის გადავადების მოთხოვნით.

წევრებმა განაცხადეს, რომ საწევროს გადახდის წესი დადგენილია ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის 29.3 პუნქტით, რომლის თანახმად „ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო წევრობის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს 21³ მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტი (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წევრები თვლიან, რომ განმცხადებლის მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, რადგან არის დაუსაბუთებელი და სამართლებრივ საფუძველს მოკლებული.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

- არ დაკმაყოფილდეს თინა ჯულუხაძის 2020 წლის 8 ივლისის განცხადება;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

საკითხი 11. ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება;

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების (ედიშერ მახარაძე, ნანა არაყიშვილი) კანდიდატურებს თანდართული ბიოგრაფიით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ედიშერ მახარაძის და ნანა არაყიშვილის კანდიდატურები.

საკითხი 12. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის (შემდგომში, სამუშაო ჯგუფი) დებულების და შემადგენლობის დამტკიცება;

წევრებმა მოისმინეს თავმჯდომარის წინადადება საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარებისთვის, პოლიტიკის შემუშავებასა თუ სხვა შესაბამის პროცესებში ადვოკატთა ასოციაციის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაო ჯგუფის დებულების და ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

წევრები გაეცნენ დებულების პროექტს. მათი მხრიდან დაფიქსირდა ტექნიკური ხასიათის შენიშვნები, რომლებიც აისახა წარმოდგენილ დებულების პროექტში.

დასახელდა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა: ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ასათიანი, აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ნათია კორკოტაძე, გიორგი ტურაზაშვილი, დათუნა მოდებაძე, ტარიელ კაკაბაძე, მარიამ კუბლაშვილი, მამუკა ნოზაძე, გიორგი თევზაძე, ზურაბ როსტიაშვილი; ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის თავმჯდომარე: ამირან გიგუაშვილი; ასოციაციის წევრები: გია ჯოგლიძე, ნოდარ ცინცაძე, კახაბერ წერეთელი, რამაზ ჩინჩალაძე, პაატა მეხრიშვილი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილებები:

- დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფის დებულების პროექტი სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით;
- დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით.

საკითხი 13. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) მარიამ სალუქვაძის 2020 წლის 13 ივლისის განცხადებას სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანახმად, სტაჟიორს უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე, თუმცა აღნიშნულ განცხადებაში არ არის მითითებული სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის სახელი და გვარი, ასევე, სტაჟირების ხელმძღვანელის შეცვლის საფუძველი და მიზეზი. ამდენად, მიზანშეწონილია საკითხის გადადება. განცხადების ავტორს მიეწოდოს ინფორმაცია, განმეორებითი განცხადებით მომართვის თაობაზე სრულყოფილი ინფორმაციის მითითებით.

(ბ) მარო დანიშაშვილის 2020 წლის 13 ივლისის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი არ ეწეოდა ანაზღაურებად საადვოკატო საქმიანობას, არ ჰქონდა შემოსავალი გარდა პენსიის და ითხოვდა გამონაკლისის სახით საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი, როგორც საპენსიო ასაკის მქონე წევრი სარგებლობს 50%-ანი საშელავათო საწევროთი. შესაბამისად, მას გადასახდელი ჰქონდა 2020 წლის საწევრო 100 (ასი) ლარის ოდენობით.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მარო დანიშაშვილის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს გადახდისაგან სრულად გათავისუფლების დაკმაყოფილების თაობაზე. თუმცა, შესაძლებელია, აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ

„წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, მას გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა 6 თვის ვადით (2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე).

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- არ დაკმაყოფილდეს მარო ლანიშაშვილის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;
- აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, განემართოს მას 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის 6 თვის ვადით (2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე) გადავადების თაობაზე;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე